საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 23 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ნანა ჭიღლაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ადამ მახარაძე - კომისიის მდივანი;
3. ეკატერინე შენგელია - წევრი.

დღის წესრიგი:

1. **თითოეული კონკურსანტის შეფასება** *„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების N4 დანართის* **„კონკურსანტის შეფასების ფორმის"** *მიხედვით* და მათთვის **პრეტენდენტების სტატუსის განსაზღვრა.**
2. **პრეტენდენტების სტატუსის მინიჭების შემთხვევაში** პრეტენდენტებთან გასაუბრების განრიგის დამტკიცება.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ *საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის* თანახმად, კონკურსანტის **შეფასების ფორმის <u>პირველი კატეგორიის</u> უარყოფითად შეფასების შემთხვევაში,** კონკურსანტი შემდგომ კატეგორიებში არ ფასდება და საკონკურსო კომისია **უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის <u>კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.</u>**

კომისია კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს, ავსებს კონკურსანტის შეფასების ფორმას სრულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით კონკურსანტის შეფასების ფორმის მე-2

და მე-3 კატეგორიაში ფიქსირდება შეფასება არანაკლებ „საშუალო“, **ანიჭებს** კონკურსანტს **პრეტენდენტის სტატუსს.**

შეფასების შედეგად შედგენილი უნდა იქნეს იმ კონკურსანტთა/პრეტენდენტთა სია, რომლებიც ამ წესისა და კონკურსანტისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში (შემდეგ ეტაპებზე) და იმ კონკურსანტთა სია, რომლებიც კონკურსის პირობებთან არათავსებადობის გამო მოიხსნებიან კონკურსიდან (ასეთ შემთხვევაში).

მოცემულ შემთხვევაში განსახილველია/შესაფასებელია 7 (შვიდი) კონკურსანტის განცხადება თანდართული დოკუმენტებით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის მდივანმა აღნიშნა, რომ კომისიაში წარმოდგენილი განცხადებები შემოტანილია შემდეგი კონკურსანტების მიერ:

N	დარგობრივი დეპარტამენტი	დარგი/მიმართულება	საკონკურსო საშტატო ერთეული	კონკურსანტები
1	სამართლის	*საჯარო სამართალი*	2 ასოცირებული პროფესორი	1.მალხაზ ნაკაშიძე
2	სამართლის	*საჯარო სამართალი*	1 ასისტენტი	1.დავით გაბაიძე
3	სამართლის	*სისხლის სამართალი*	2 ასოცირებული პროფესორი	1.გივი აბაშიძე 2. ომარ ფარტენაძე
4	სამართლის	*კერძო სამართალი*	2 ასოცირებული პროფესორი	1.პაატა ხოტენაშვილი 2. სოლომონ მენაბდიშვილი
	სამართლის	*საერთაშორისო სამართალი*	1 ასოცირებული პროფესორი	1.ლევან ჯაყელი

კომისიის წევრებმა ერთობლივად იმსჯელეს და შეაფასეს კონკურსანტები და შეფასების შედეგი ასახეს „კონკურსანტის შეფასების ფორმებში“. აღნიშნულის შემდეგ, ღია კენჭისყრით, კომისიამ ერთხმად

<u>დაადგინა:</u>

1. დამტკიცდეს იმ **პრეტენდენტთა სია** და მათთან გასაუბრების განრიგი, რომლებიც **დაშვებულნი არიან შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.** მათვე განემარტოთ, რომ საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გასაუბრებაზე გამოცხადებულ კონკურსანტს მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება (დანართი 1);
2. წინამდებარე საოქმო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული მისამართზე: web@bsu.edu.ge).

კომისიის თავმჯდომარე

მდივანი